



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბუაჩიძე გასტონ სერგოს ძე

ბუაჩიძე გასტონ სერგოს ძე (დ. 21. X. 1935, თბილისი), მწერალი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფ. (1990). თბილისის საპატიო მოქალაქე (2010). თსუ-ის ფრანგ. ფილოლ. კათედრის გამგე (1981-იდან), კრიტიკოსთა საერთაშ. ასოციაციისა და ევრ. კულტ. მოღვაწეთა საზ-ბის წევრი.

დაამთავრა ლვოვის უნ-ტის დას. ევრ. ენების ფაკ-ტი ფრანგ. ენისა და ლიტ-რის სპეციალობით (1958). 1960-იდან 1990-მდე იყო ფრანგული ლიტ-რის პროფესორი (თსუ), ხოლო 1991-იდან 2001-მდე – ნანტის უნ-ტის შედარებითი ლიტ-რის სწავლების ასოცირებული პროფესორი.

ბ-ს ეკუთვნის მონოგრაფიები: „რეტიფ დე ლა ბრეტონი რუსეთში“ (1972, რუს. ენაზე), „გიიომ აპლინერი და ფრანგული პოეზიის განვითარების გზები“ (1989, რუს. ენაზე); ნარკვევები: „ფრანგული ჩანაწერები“ (1969), „მონმარტრიდან მთაწმინდამდე“ (1972); ესეები ფრანგ და ქართვ. მწერლებზე – „ნახნაგები“ (1983, 1986); მხატვრული ბიოგრაფია „მარი ბროსე. ცხოვრების ფურცლები“ (1983; რუს ენაზე); ტრილოგია ქართვ. მხატვრებზე – „ფერიცხოველი“: წგ. I – „ფიროსმანი, ანუ ირმის განავარდება“ (1981, რუს. ენაზე), წგ. II – „დავით კაკაბაძე, ანუ იმერეთის კვადრატები“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1975, № 10-12 ფრაგმენტები), წგ. III – „ლადო გუდიაშვილი, ანუ ფრესკის ზმანება“ („ლიტერატურნაია გრუზია“, 1977, № 9, 10, ფრაგმენტები).

სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს საფრ., ბელგ., ლუქსემბურგისა და იტალ. პერიოდიკასა და ლიტ. კრებულებში. ფრანგულად თარგმნა ს.-ს ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და წინასიტყვაობა დაურთო (თბილისი, 1978, პარიზი, 1984, იუნესკოს სერიით), გ. ტაბიძის „არტისტული ყვავილები“ (ორენოვანი – 1989); „ქართული ხალხური

ზღაპრები“ (1988), „ვეფხისტყაოსანი“ (1989, პარიზისა და მოსკ. ერთობლივი გამოცემა).
ეს არის პოემის პოეტური თარგმანი, რ-შიც შემონახულია დედნისეული მეტრი და მდიდარი
რიტმა. თარგმანმა მაღალი შეფასება მიიღო ქართულსა და ფრანგ. პრესაში. „ქართული
ლიტერატურის ბიბლიოთეკისათვის“ თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა აგრეთვე ვაჟა-
ფშაველას ექვსი პოემა და „ამირანდარეჯანიანი“.
